

ახალი თაობა



15 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო ჭოჭი 10
სამზარეულო
2 ლარი და 30 თეთრი

საოჯახო სამზარეულო
300 რეცეპტი
10
აქტი
ფრანგული
სამზარეულო
ზორცეული
ოვგზეული
ტკბილეული

მაგისტრი 2013

ორშაბათი, 15 ივლისი, 2013

№165 (6166)

ფასი: 30 თეთრი

სამართალდამცავებმა კიდევ 17 ათასზე მეტი უარული ჩანაწერი აღმოაჩინეს **აპ.4**



რა ვითარებაში დაილუკა აღმირალი ზურაბ ირემაძე

აპ.3

გარდაცვლილის ოჯახი გვამის ეგზუმაციას ითხოვს



სოსო ტისკარიშვილი: „რეალური საპრეზიდენტო კანდიდატები გიორგი მარგველაშვილი და ნინო ბურჯანაძე არიან“

აპ.4



ფიქრია ჩიხრაძე: „ოქტომბერში გაირკვევა, გადაწყვეტა თუ არა ნაცემოქრობა“

აპ.2



ვინ ებრძვის ღვით ქირვალშიც

აპ.5

ნიუ იორკის ნოინდა ნინოს სახელობის ქართული ტაძარი, შესაძლოა, გაიხილოს

აპ.7



ნაციონალური მოძრაობის პრაივერის მესამე ტურშიც ღვით ბაქრაძე გაიმარჯვა

აპ.2




გიორგი ლალიძე: „ოცნებამ არჩევნების გაყალბებაზე არც უნდა იოცნებოს“

აპ.5



მეუფე იაკობი: „ეკლესია ტერიტორიების გასხვიანებაზე ხელს არასოდეს მოაწერს“

აპ.4



განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი თამარ სანიკიძე იქნება

აპ.4



6

მანანა ნაჭყალია: „ხელისუფლებამ უფაქტურად უნდა იმუშაოს“

11

„აიფონმა“ ჩინელი ღენის ღარბყვით იმსხვერპლა

5

ახალგაზრდა აღმოკაბები მესკოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

6

სანახოვა საკრებულოს წევრების შესრულებით



ახალგაზრდა ადვოკატები ახალგაზრდა ადვოკატების

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, ცესკომ არაკონსტიტუციური გადაწყვეტილება მიიღო. ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რეკომენდაციით მიმართავს და რეგისტრაციიდან მოხსნა პირთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისკენ მოუწოდებს.

გულიკო ბალაძე

ორგანიზაციამ ცესკოს რეკომენდაციით 2013 წელს უკვე მიმართა. ამის შესახებ გაუშინ გამართულ ბრიფინგზე „ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტმა მარიამ ნეფარიძემ განაცხადა.

ორგანიზაცია რეგისტრაციიდან მოხსნის პირებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას ეხმაურება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ივლისს გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლები 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩეველთა რაოდენობა არცთუ იხე მცირეა. ცესკოს მონაცემებით, ასეთ ამომრჩეველთა რაოდენობა 97 000-ს აღემატება.

ორგანიზაციის შეფასებით, რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩეველთათვის ხმის მიცემის უფლება, ერთი მხრივ, წარმოშობს რისკს, რომ ასეთი ამომრჩევლები ერთდროულად აღმოჩნდნენ ორი საარჩევნო უბნის სიაში, რაც ზიანს აყენებს ამომრჩეველთა სიების სიზუსტეს და წინააღმდეგობაში მოდის საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებთან. მეორე მხრივ, რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათი მონაწილეობა არაა შესაძლებელი.

გიორგი ლალია: „ოცნება არჩევნების გაყალბაზე არს უნდა იოცნაბოს“

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ პარტია „ოპოზიციური საქართველო“ ლიდაჩი გიორგი ლალიასთან

— ბოლო დროს მთავარ პროკურორზე იერიშის მიტანას რა უდევს საფუძვლად, რა დგას რეალურად ამ ყველაფრის უკან, მიზეზი ბედუკაძესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებაა თუ უფრო სხვა რამესთან გვაქვს საქმე?

— როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ახლად დანიშნული მთავარი პროკურორი დიდი ამბიციებით მოვიდა ამ სისტემაში. ის წინასწარ აანონსებდა იმას, რომ აპირებდა სამართლიანობის აღდგენას მთელ რიგ საკითხებთან და გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით. თუმცა მისი ეს ოპტიმიზმი საზოგადოებისთვის არცთუ შედეგიანი აღმოჩნდა და მიმამჩნია, რომ ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი დიდი ხანია ჩიხში შევიდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მთავარი პროკურორის მიმართ არის უამრავი კითხვა, რაც, ჩემი აზრით, არის სრულიად ლეგიტიმური. რაც შეეხება კონკრეტულად ბედუკაძის საკითხს, ამ თვალსაზრისითაც, მე ვფიქრობ, უამრავი კითხვა არსებობს და, პირველ რიგში, არის მორალი. არ შეიძლება, ერთსა და იმავე საქმეზე პროკურატურა იღებდეს ორ რადიკალურ გადაწყვეტილებას, ვგულისხმობ იმას, რომ ე.წ. ციხის წამების ფაქტების შემეტყობას მიუსაჯეს პატიმრობა, ხოლო ერთი ადამიანი სრულად გათავისუფლდა სისხლისმამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და მას ეს ნასამართლეობაშიც კი არ ჩაეთვლება. მას პირადად მთავარმა

პროკურორმა გაუფორმა საპროცესო შეთანხმება.

— არა მგონია, ეს გადაწყვეტილება კბილაშვილს ერთმხრივად მიეღო, რადგანაც ეს იყო პოლიტიკური საკითხი. არ შეთანხმებ?

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ძალიან ბევრი დაკავება აჩვენს საფუძვლიან ეჭვს და ბევრი მათგანი პოლიტიკურად ანგაჟირებულია. მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელებაზე საუბარი, ხელი-სუფლების წარმომადგენლებმა წინასწარ აზრის გამოთქმისგან თავი უნდა შეიკავონ. მაგალითად: ძალიან ბევრ პიროვნებასთან დაკავშირებით, მანამ მას პასუხისმგებლობა მისცემენ, გამოიგონებენ მოსაზრებას, რომ ეს ადამიანი არის დამნაშავე, თუნდაც ავიღოთ ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები. მე ვერ გამოვადგები ნაციონალისტების დამცველად, მაგრამ, თუ ჩვენ სამართლიანობის აღდგენაზე და ჯანსაღ პროცესებზე ვსაუბრობთ, ყველაფერი სწორად უნდა განვითარდეს. ბოლო პერიოდში მომხდარი დაკავებები თავისი არსით არის პოლიტიკურად მოტივირებული, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ხდება ხელისუფლების ოპონენტის ოპოზიციური ძალის წარმომადგენლების დაკავება, თუმცა მე არ ვამბობ, რომ ეს ადამიანები ყველანი უდანაშაულონი არიან.

— მაინც ვის თვლით უკანონო პატიმრად?

— გულწრფელად გეტყვით, იგივე გუზავას დაკავებასა და გასამართლებასთან დაკავშირებით, მე, პირადად, ძალიან ბევრი კითხვა გამაჩნია. მე არაერთხელ მიმოვიხილე, რომ აუცილებელია ქვეყანაში აღდგეს სამართლიანობა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შეურყეველი სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით.

— სამრეზიდენტო არჩევნებთან და პრეზიდენტობის მსურველ კანდი-



დატებზე დაკავშირებით რას იტყვით?

— ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, განვლილმა ბოლო თანხვედრებმა აჩვენა, რომ ნაციონალურ მოძრაობამ უამრავი შეცდომა დაუშვა ქვეყნის მართვაში. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ისინი წინასწარჩვენად უხვად არიგებდნენ დაპირებებს, რის გამოც მათ ხალხმა მისცა ხმა და მოვიდნენ ხელისუფლებაში, თუმცა ამ დაპირებების უდიდესი ნაწილი არ სრულდება და საზოგადოება აღმოჩნდა კიდევ ერთხელ მოტყუებული და ხალხში უკვე შეინიშნება იმედგაცრუება. რაც შეეხება კანდიდატებს, მე ცალსახად ვეძიებ იმ ფაქტს, რომ რაგინდ რეიტინგული ფიგურა არ უნდა იყოს პრემიერი, მე არასწორად მიმამჩნია მისი

პინ აბრკვის დავით კირვალის

შორენა კოლწაშვილი



რა ხდება სოფლის მეურნეობის სამინისტროში? — ეს კითხვა ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურად ისმის, თუმცა, ფაქტია, რომ ბურუსით მოცული ვითარება, რომელსაც სამინისტროს პირველი პირის თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა, დიდხანს ვერ იქნება მიჩუქებული.

დღეს უკვე კულუარებში ბევრი საუბრობს იმაზე, რომ დავით კირვალისის პორტფელი სწორედ შიდასახელისუფლებო დაპირისპირებას შეეხება და ეს ტალღა რესპუბლიკელი ლაშა ნაცვლიშვილისგან იმართება. თავად კირვალის ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებს და გამოძიების ობიექტურად წარმართვასა და სასამართლოს სამართლიან გადაწყვეტილებას ელოდება, თუმცა, ამ მხრივაც აშკარაა, რომ ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელება და სამართლის ზეობა იმავე ტრაქტორების საქმეში, რომელსაც პროკურატურა იძიებს, ვერ ხორციელდება.

სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსანთა საქმეზე ბრალდებულმა მამუკა ივანიშვილმა პროკურორი გიორგი დავითაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. ივანიშვილის დავითხვა მთავარ პროკურატურაში გვიანობამდე გაგრძელდა. როგორც უწყებიდან გამოსულმა ბრალდებულმა ჟურნალისტებს განუცხადა, დავითხვისას ძირითადად სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განხორციელებულ ქმედებაზე ისაუბრა.

რაც შეეხება იმას, თუ ძირითადად რა სახის კითხვები დაისვა გამოძიებლის მხრიდან ახლა უკვე ბრალდებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნის მიმართ, როგორც ადვოკატმა გე-

ლა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, გამოძიებლის მხრიდან კითხვები ივანიშვილის მიერ ორი დღის წინ გაკეთებულ განცხადებას შეეხებოდა.

— კითხვები ეხებოდა პრესკონფერენციაზე მამუკა ივანიშვილის მიერ გაუფრთხილებლად ფაქტებს, მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, როცა აიძულეს, რომ ყალბი ჩვენება მიეცა. მათ შორის მამუკა ივანიშვილმა ახსენა, რომ კითხვები ზეწოლის დროს იყო დავით კირვალისთან დაკავშირებითაც, — აღნიშნა გელა ნიკოლაიშვილმა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების დავაყვების საქმეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც აკვირდება და ყველა იმ დარღვევას ასაჯაროებს, რომლებიც პროკურატურის მხრიდან არის დაშვებული აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში.

ივანიშვილის დავითხვის ფაქტს გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ადვოკატი მაია ხუციშვილი აკვირდებოდა. მისი შეფასებით, დავითხვა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და პროკურორის დამოკიდებულება საკმაოდ კორექტული იყო.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსანთა საქმიდან გამომდინარე იკვეთება, გამოძიება ვერ ასცდა სააკაშვილის მმართველობის დროინდელ პრაქტიკას — ბრალდებულზე ზეწოლას და ამ გზით სასურველი ჩვენების მიღებას. ბრალდებული ივანიშვილი, რომელიც დავით კირვალისის კლასიკური იყო, ამბობს, რომ მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა და გამოძიება ითხოვდა, კირვალისის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა.

ამ შინაარსის განცხადება ივანიშვილმა ადვოკატებთან ერთად პრესკონფერენციაზე გააკეთა, რასაც შედეგად მოჰყვა პროკურატურაში ახალი საქმის აღძვრა ივანიშვილზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით.

როგორც უფლებადამცველები აცხადებენ, „ტრაქტორების საქმე“ პროკურატურას შეიძლება უკან ძალიან ცუდად შემოუტრიალდეს.

ადვოკატები და უფლებადამცველები იმედოვნებენ, რომ საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი მაქსიმალურად გააკონტროლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსანთა საქმეზე და საქმეზე საბოლოოდ ობიექტური გადაწყვეტილება იქნება მიღებული, თუმცა არსებული სასამართლოს და საქმეში უკვე გამოკვეთილი ფაქტობრივად დანაშაულებრივი ნიშნებით უფლებადამცველები ეჭვი ეპარებენ, რომ ობიექტური მართლმსაჯულება განხორციელდეს.

რაც შეეხება იმას, თუ ვის და რატომ გაუჩნდა დავით კირვალისის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი და კონკრეტულად რა არის ის ყველაფრის მიზეზი, ეს საზოგადოებისთვის ბოლომდე უცნობია, თუმცა, როგორც პრესკონფერენციაზე გიორგის საფუძველზე გათავისუფლებულმა ივანიშვილმა მიაჩნია, მას აიძულებდნენ, კირვალისის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა და ამ ყველაფრის მიზეზად ის შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას ვარაუდობს.

ზოგადად საზოგადოების განწყობას, ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებას“ არცთუ საოცნებოდ აქვს საქმე. მათი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩვენი საზოგადოება სიახლის მოლოდინშია. თუ ხელისუფლებამ გაბედა არჩევნების გაყალბება, მერწმუნეთ, ძალიან ცუდად შემოუტრიალდება ეს ყველაფერი. მთავარია, ჩვენი საზოგადოება იყოს აქტიური და მათ გააკეთოს რეალური არჩევანი, რაც შეცვლის იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას რომელიც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი.

— ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მდგომარეობა არ იცვლება, თუმცა ხელისუფლების პასიური პოზიციაშიც ბევრი განგებრობაა.

— ცალსახად არ ვეთანხმები ხელისუფლების კაპიტულანტურ პოლიტიკას ოკუპირებულ ტერიტორიებთან და რუსეთთან მიმართებით. ხელისუფლებაში თუ ვინმეს ჰგონია, რომ ყველაფერს დაუთმობს რუსეთს და ამით მათ კეთილგანწყობას მოიპოვებს, ეს არის ქვეყნისათვის საზიანო. ხელისუფლებას, როგორც ჩანს, არ გააჩნია მყარი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით და ფაქტია, ყვენის მოლაპარაკებები ჩაშლის პირასაა. მაშინ, როდესაც ოკუპანტი ქვეყანა ყოველდღიურად დაკავებულია მავთულხლართების გავლებით, ამაზე ჩვენს ხელისუფლებას ძალიან სუსტი რეაქცია აქვს, რაც ყოველად გაუმართლებელია და ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის სიკვდილიანობაში ნამდვილად არ არის. თუ დამტკიცებულია საერთოდ ივანიშვილი და მისი ხელისუფლება, რა ხდება საერთოდ ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ქართულ სოფლებში? მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაშია და ხელისუფლებისგან ისინი არანაირ ყურადღებას არ გრძნობენ.

ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ ნარომალგანაელ მანანა ნაჭყაბიასთან

— ქალბატონო მანანა, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?

— მმართველ პოლიტიკურ ძალას ვისურვებდი, რომ უფრო მეტად აეღო მართვის სადავეები ხელში და თვითონ ყოფილიყო დღის წესრიგის განმსაზღვრელი. სამწუხაროდ, ძალიან გაჭიანურდა. ე.წ. სამართლიანობის აღდგენით არის სახელდებული ჩვენი მოსახლეობის მხრიდან. მე აბსოლუტურად მესმის საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, რომელმაც ამა თუ იმ სახით სერიოზული მორალური, ფინანსური, მატერიალური ზიანი მიიღო ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. ეს პროცესი აუცილებლად უნდა წარიმართოს და დასასრულამდე მივიდეს. ყველა ადამიანმა უნდა დაიბრუნოს ღირსება, დაიბრუნოს ის, რაც დაკარგა და აღიდგინოს მორალური თუ მატერიალური ზარალი, რომელიც ნაციონალური მოძრაობისგან მიიღო, მაგრამ ეს ყოველგვარი ზედმეტი პოლიტიზირებისა და პოლიტიკური ხმაურის გარეშე. ამას უნდა უზრუნველყოფიდე შესაბამისი სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები. სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანოები, პროკურატურის, შინაგან საქმის მინისტრის ორგანოები ან ძალიან არაკვალიფიციურად მუშაობენ ან ძალიან ნელა მუშაობენ. უამრავი საქმე, რომელიც წამოწყებულია, გამოძიების დონეზეა გაჩერებული. ამ ცხრა თვის განმავლობაში არ გვაქვს არც ერთი ისეთი საქმე, რომელიც ბოლომდე მიყვანილი. მიქაუტაძის, ივანაიძის, სოფლის მეურნეობის საქმე, კორტავას საქმე არის გამოწვევა ამ ხელისუფლებისთვის. როგორ გასცემენ ისინი პასუხს ამ კითხვებს, ეს იქნება სერიოზული გამოცდა. ეს, ბუნებრივია, იწვევს იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ რიხით საუბრობს. ეს ძალიან უკან სწევს პოლიტიკურ პროცესებს. უკან სწევს ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარების შესაძლებლობას, რაც დღეს აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც კარზე გვაქვს მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნები.

— 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვან არჩევნებად არის შეფასებული დასავლელი პარტნიორების მიერ. რას იტყვით?

— დიახ, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია საქართველოსთვის, არა იმ თვალსაზრისით, თუ ვის აირჩევენ. ვის აირჩევენ, ეს, სამწუხაროდ, ნათელია. სამწუხაროდ, იმით, რომ ბევრად უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნის დე-



მოკრატიულად განვითარების მიმართულებით საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში წინასწარ არ იქნება ცნობილი გამარჯვებული. ცხადია, უკეთესი იქნება რეალური კონკურენცია კანდიდატებს შორის, რომ ქვეყანაში რეალური მრავალპარტიული დემოკრატია იყოს. ამ ეტაპზე მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება გამარჯვებული კანდიდატი. ამ ეტაპზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. როგორი გარემო შეიქმნება არჩევნების ჩატარებისთვის და რამდენად უპასუხებს საერთაშორისო სტანდარტებს. სწორედ ამ არჩევნების ჩატარებაზეა ძალიან დამოკიდებული, ვიღნიშნის სამიტზე მივიღებთ თუ არა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ასევე ბევრი იქნება დამოკიდებული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე, თუ რას მივიღებთ ნატოს მომავალ სამიტზე 2014 წელს. როგორ შეაფასებენ საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, რა შედეგები ექნება, ჩაგვითვლიან წინსვლად თუ გვეტყვიან, რომ ჩვენ ადგილზე გავჩერდით. ცხადია, ჩვენ წინსვლა გვინდა, სასიცოცხლო გვეჩრდება, რომ ეს შეფასება პოზიტიური იყოს. ამიტომ ყველამ, ხელისუფლებამაც, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა, საზოგადოებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედია ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს არჩევნები მართლაც გამორჩეული იყოს, ჩატარდეს თავისუფლად და სამართლიანად.

— პრემიერმა თავის მიმართვაში აქცენტები გააკეთა, რომ დემოკრატიული, ევროპული სტანდარტების არჩევნებს ჩავატარებთ, მისი მხრიდან იგრძნობა, რომ რეალურად ასეთი განწყობა აქვს მას, რომ კონკურენტუნარიანი არჩევნები ჩატარდეს?

მანანა ნაჭყაბია: „ხელისუფლება იუჯიზურად უნდა იმუშაოს“

— დეკლარირების დონეზე თითქმის ყველაფერი წესრიგშია. თითქმის მართლაც ამ ხელისუფლების სურვილია, რომ ამ არჩევნებში თავისუფალ გარემოში ჩაიაროს, მაგრამ შედეგს ამ წუთში ვერავინ შეაფასებს. ვერ ვიტყვი, ნამდვილად უნდა თუ არა ბიძინა ივანიშვილი და ვერავინ ვერ ჩაიხედავს მის გულის სიღრმეში, რეალურად რა სურს. როგორ განვითარდება მოვლენები და როგორ ჩატარდება ეს არჩევნები, ამის შემდეგ მივხვდებით, ეს მისი რეალური სურვილია თუ მხოლოდ დეკლარირებული განწყობები. საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, საზოგადოება, საბოლოო შედეგებს დადებენ მას შემდეგ, რაც არჩევნები ჩაივლის.

— სამართლიანობის აღდგენას ხელს ხომ არ უშლის კოპაბიტაციის რეჟიმი? შეიძლება, ეს შემთხვევითი ფაქტორი იყოს?

— არა, ვერ ვიტყვი, რომ კოპაბიტაციის პროცესი შემთხვევითია. შეიძლება ის, რასაც ახალ გეტყვით, არაპოპულარული იყოს საზოგადოებაში, რადგან სრულიად ბევრი ადამიანია აღცხილი სურვილით, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრეს, მაგრამ ჩვენ საბოლოო მიზნად უნდა ამოვიღოთ.

— რას გულისხმობთ?

— იმას, თუ რა გვინდა ჩვენ, როგორი სახელმწიფო გვინდა შექმნათ. გვინდა, ჩვენი დღევანდელია და მომავალი იყოს ნაციონალური მოძრაობაზე შურისძიება თუ გვინდა იყოს ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარება, ეკონომიკური თუ დემოკრატიული წინსვლაზე ზრუნვა. ვფიქრობ, ყველას მეორე უფრო გვინდა. ამიტომ შეცდომა იყო ურთიერთბრალდებებზე დიდი დროს დახარჯვა. ნაციონალური მოძრაობას პოლიტიკური განაჩენი 1 ოქტომბერს ხალხმა გამოუტანა. დანარჩენი საგამოძიებო და სასამართლო უწყებების საქმე უნდა იყოს. მთავარი პრობ-

ლემა, იცით, რა არის? როდესაც ადამიანებს აკავებენ და მეორე დღეს უკან უშვებენ, რატომ იქერ, თუ მტკიცებულებები არ გაქვს? ან თუ გამოუშვებს, მაშინ ძალიან მოკლე დროში უნდა დასრულდეს გამოძიება და განაჩენი დადგეს, რომ ადამიანებს ინტერპრეტირების შესაძლებლობები არ ჰქონდეთ. სახეზეა წამოწყებული და გაჩერებული საქმეები. არის უამრავი საქმე, სადაც დანაშაული სახეზეა, მაგრამ დანაშაულის ჩამდენი არავინ არ არის. პირველ რიგში, ეს ეხება გახმაურებულ საქმეებს, ვგულისხმობ ნამების ფაქტებს. ერთი ადამიანი კი არ არის ადევნატურად დასჯილი სასჯელდსრულების სისტემაში მომხდარ წამების საშინელ ფაქტებთან დაკავშირებით. თუნდაც 16 ადამიანი, რომელიც ბედუქაძის საქმესთან დაკავშირებით იქნა დაკავებული, მათგან რვა გათავისუფლდა საპროცესო შეთანხმებით, ექვსს სრულიად არადადეკატური და მსუბუქი სასჯელი მიუსაჯეს, რამდენადაც ვიცი, მათ წამება არც კი ჰქონდათ ბრალად წაყენებული. ორი მათგანის დანაშაულის გადაკვალიფიცირება მოხდა, ბედუქაძე ყოველგვარი სასჯელისა და პასუხისმგებლობის გარეშე გაათავისუფლეს. მე ამაზე ვსაუბრობ. ეს ყველაფერი უკვე ინილი-ბინილოს ემსგავსება. ქვეყანაში მართლსაფლად სწრაფი, ეფექტური და, ყველაზე მთავარი, სამართლიანი უნდა იყოს. მართლსაფლად უნდა მოქმედებდეს ისე პროფესიონალურად, რომ ნაციონალური მოძრაობას ბევრი სალაპარაკო არ დავტოვოს.

— ქალბატონო მანანა, თქვენ გარკვეული ეჭვები გაქვთ თუ ეს მხოლოდ კითხვებია, რომლებზეც პასუხს ითხოვთ?

— არანაირი ეჭვები არ მაქვს, მე მაქვს საყვედური და მაქვს პრეტენზია, რომ ამ ხელისუფლებას ბევრად ეფექტურად უნდა ემოქმედა.

— საპრეზიდენტო არჩევნებს რომ

სანახაო საკრებულოს წევრებით უსრულა



როლანდ ხოჯანაშვილი

ზრდილობით გამორჩეულ იმერეთში ზრდილობა დეფიციტური აღმოჩნდა. პარლამენტში უმრავლესობა-უმცირესობა ხშირად ეუზრდელობიან და ისეთი სიტყვებით ამკობენ ერთმანეთს, ადრე ქუჩის ბიჭები თუ გამოიყენებდნენ იმავე ლექსიკას. არადა, იმერლები ზრდილობა დაგვხოცა, თორემ წინელებზე მეტი ვიქნებოდითო.—ამ სიტყვებს ქუთაისელ კოლორიტს, პიპინია მქელაძეს, მიაწერე. ლევან ბერძენიშვილი ამბობდა, რომ ადრე მეგრელი ასე იტყოდა: „ბოდიში, ბაზარში ვიყავი“, იმერლებს ხომ „უკაცრავად“ და „ბოდიში“ ენაზე ეკერათ, მაგრამ, რაც გახეთქილი საზამთროს მსგავსი პარლამენტი შუაგულ ქუთაისში ააგეს, მის შემდეგ იმერლებმაც ენა გავიბინურეთ. როცა კანონმდებლები მონაპისის კანფეროვით აქით-იქით ფანტავენ უცნაური სიტყვებს, მაშინ ქვედა რგოლებზე რაღა გასაოცარია ის სიტყვები, რომლებშიც კვეთავთ ჩვენს ყოველდღიურობას.

ქუთაისის საკრებულო, რომელიც ერთ დროს ყველაზე მონოლითურ-ნაციონალურად ითვლებოდა, 1 ოქტომბრის შემდეგ ბერტოლეს მარილივით დაიშალა და დიდ სალაყბოს (პარლამენტს) დაემსგავსა არა მხოლოდ ნაკლებფუნქციურობით, ასევე ბილნსიტყვაობითაც.

მეთერთმეტე მერის დანიშვნაში მონაწილე საატესტაციო-საკონკურსო კომისიის წევრებიდან ორი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დაადანაშაულეს გარიგებასა და ნეპოტიზმში. „გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ქუთაისის მერიაში კომისიის წევრი გელა მშვენიერაძე და ასევე ერთ-ერთი წევრის, ზურაბ ხურციდის, ქალიშვილი ხათუნა ხურციძე მალალ თანამდებობებზე დაინიშნეს. რაც გვაძლევს მიზეზს, რომ კომისიის მუშაობა ეჭვქვეშ დავაყენოთ და უნდობლობა გამოვუცხადოთ მას. მოგინდებთ, ბატონო თამაზ, დატოვოთ კომისიის თავმჯდომარეობა და კომისია დაშალოთ,“—განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გია გოჭაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მისამართით.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის, თა-

მაზ მარგველაშვილის, პასუხი ძალიან ჰგავს მურმან დუმბაძის პასუხს: „დიდი მადლობა რჩევისთვის, ბატონო გია, მაგრამ კომისიის წევრობა არ ნიშნავს, რომ კომისიის წევრების ახლობლები უფუშვებები უნდა დარჩნენ.“

ზურაბ ხურციძემ გია გოჭაძის განწინაბება იმით ახსნა, რომ მისი საქმეებით გამოძიება დინტერესდება მალე და გალმა შედავების პრინციპს იყენებდეს. ქუთაისის „ოცნებელსა“, „ნაცმოცილებს“ შორის ოქროს შუალედად გაკვეთებული „პატრიოტიკი“ როგორც ჩანს, დაბალ ლობედ არის მიჩნეული და როგორც პატრიოტიკა კახა ნემსინვერიძემ კორექტულობისკენ მოუწოდა 51-ე სდომაზე კოლეგებს, მას უკლებამ „იმერული ესკიზებიდან“ ციტატა ესროლა, თუმცა მარილი ზედმეტი მოუვიდა: „შენ ვის არიგებ ჭკუას, სხდომებზე ხმა რომ არ ამოვიღო?“—შესაძა უკლებამ ნემსინვერიძეს და იქვე „პატრიოტიკი“ მისამართით საჯაროდ „ფრთიანი გამოთქმა“ დაამატა: „სირი ხარ.“

ბრალდებები და ცილისწამებები ვის გაუკვირდება საქართველოში, მაგრამ ე.წ. ფროიდისტული წამოცდენები ფსიქოლოგთა აზრით, ჩვენთან ჯერ კიდევ კარგად მუშაობს. ზურაბ ხურციძემ, რომელსაც „აქტიუგის ქუსლად“ ქალიშვილის დანიშვნა აღმოაჩნდა, განაცხადა: „გოჭაძეს ძალიან ბევრი ისეთი საქმე აქვს, რომლის თქმაც, ჯერჯერობით, შეგნებულად არ შემიძლია, მაგრამ გამოძიება მისით ძალიან მალე დინტერესდება. ვინც ბევრს დაპარაკობს, ის ძალიან ბევრს მიიღებს. როცა ვინმეს ადანაშაულებ, თავად სპეტაკი უნდა იყო. ბინძური ადამიანისგან შეურაცხყოფას არ მოვიტოვებ, რადგან მე არ ვარ საჯარო მოხელე და თმენის ვალდებულება არ გამაჩნია. რაც შეეხება ჩემს ქალიშვილს, ჯერ არ ყოფილა კომისიაზე გასული, მას აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება და მისი დანიშვნა დანაშაული სულაც არაა. გაიკითხეთ და ნახეთ, საკრებულოს რამდენი დეპუტატის ოჯახის წევრი მუშაობს მერიაში?“ (ანუ ნეპოტიზმი არ ახალია ქუთაისში).

პაპუაშვილ-რდილელის და „ნაციონალურის“ კონფრონტაცია, როგორც ჩანს, მოწონათ ქუთაისის საკრებულოს და საპარლამენტო დარბაზიდან ვინცო „ზალაში“ გადმოიტანეს დაპირისპირება. ქუთაისის მერი ჯერ უფასო შევბუღებაშია, ჩამოვა და ეცდება სიტუაციის დარეგულირებას, თუ განათლების სამინისტროში არ წაიყვანეს. ამის მერე უკვე მეთორმეტე მერის არჩევა-შერჩევა მოუწევს საკრებულოს დეპუტატებს. ქუთაისში კი შეიძლება ბევრს შეხედეთ, რომლებიც თვლიან, რომ შაშაიშვილის შემდეგ მერი არ ჰყოლიათ, რადგან შაშაიშვილი ახერხებდა თვითმყოფადი ადმინისტრატორის სახის შენარჩუნებას.

სამწუხაროდ, პური ისევ ცოტაა, სანახაობა კი — ბევრი. ჩვენ კიდევ სანახაობას ისე შევეჩვიეთ, რომ პურს გვერდით გადავწევთ, ოღონდაც კი სანახაობა არ გამოგვრჩეს!

განცხადება
2013 წლის 9 სექტემბერს 12 საათზე, შ.პ.ს. „იბერიაცემენტ“-ს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: კასპის რ-ნი, სოფ. სამთავისი), გაიმართება სამშენებლო მასალების საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ცემენტის წარმოება. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:
- კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. სამთავისი (კომპანიის ოფისში) - გორი, ბარნოვის ქ. 9 ტელ: 599708055
დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge ; www.aarhus.ge საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2013 წლის 30 აგვისტოს 12 საათამდე.
შ.პ.ს. „იბერიაცემენტი“-ს ადმინისტრაცია
განცხადება
2013 წლის 5 სექტემბერს 12 საათზე, შ.პ.ს. „ევროცემენტი“-ს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: კასპის რ-ნი, სადგური კავთისხევი), გაიმართება სამშენებლო მასალების საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ცემენტის წარმოება. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:
- კასპის მუნიციპალიტეტი, სადგური კავთისხევი (კომპანიის ოფისში) - გორი, ბარნოვის ქ. 9 ტელ: 599708055
დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge ; www.aarhus.ge საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2013 წლის 30 აგვისტოს 12 საათამდე.
შ.პ.ს. „ევროცემენტი“-ს ადმინისტრაცია

